# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 16 (4520) ● 9 დეკემბერი ● 2015 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


## თბილისის მე-20 საჯარო სკოლა ევროპულ სტანდარტებს უმიზნებს

# გერმანული ენის გაძლიერებული სწავლების სტატუსით



**საქართველოს** მასწავლებელთა სიხარულს თბილისის სახელოვანი მე-20 საჯარო სკოლაც უერთდება. მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით გადაწყვიტა, საჯარო სკოლების პედაგოგებს ხელფასები საგრძნობლად გაეზარდოს.

სკოლაში ერთი წელია, რაც ახალი დირექტორი მოვიდა, ჩინებული პედაგოგი, გამოცდილი ხელმძღვანელი **ლელა ნერგაძე**, როგორც დირექტორი, მასზე ვერავინ იტყვის დებიუტანტიაო, რადგან წლების მანძილზე თბილისის 162-ე საჯარო სკოლაში მიიღო ნათლობა. აქ ერთი წელია მოვიდა და საქმეს უკვე დაატყო საკუთარი ხელწერა. ინიციატივიანი შემოქმედია. მოკლედ, ნერგაძე სკოლაში საინტერესო სიახლეებს ნერგავს. გვახსოვს, ადრე, დიდხანს განათლების ამ ტაძარს **„რამიშვილის მე-6 გერმანულ სკოლას“** ეძახდნენ. „ახლაც ასეაო, – განგვიმარტა ახალმა დირექტორმა, – მხოლოდ ნუმერაცია შეეცვალაო, უფრო მეტი, ეს სტატუსი ახლახან ოფიციალურად მიენიჭაო“.

გთავაზობთ **ლელა ნერგაძესთან** საუბრის მოკლე შინაარსს.

***

**მე-20 საჯარო** სკოლა ცნობილია კონცეფციით, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა და ჰუმბოლდტოლოგმა პროფ. **გურამ რამიშვილმა**. ამ კონცეფციის არსია დედაენობრივი მსოფლმხედველობის განვითარება მოსწავლეებში დედაენის სიღრმისეულ სწავლებაზე დაყრდნობით და ამ პრინციპის საფუძველზე უცხო ენის, კერძოდ **გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება.** ამასთან, გერმანული ენის სწავლება გულისხმობს თავად გერმანული კულტურისა და ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლას. გაძლიერებული გერმანული ენის სწავლება საკუთრივ გერმანული ენისა და ლიტერატურის ინტენსიური სწავლების გარდა მოიაზრებს მაღალ კლასებში **გერმანული ენის დიპლომის** ამოქმედებას (DSD1 _ B1, DSD 2 - B2/C1 ), რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მოიპოვონ გერმანული ენის მაღალი საფეხურის დიპლომი.

ამა წლის ოქტომბერში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლას მიანიჭა **გაძლიერებული გერმანული ენის სწავლების სტატუსი** და ამგვარად **გურამ რამიშვილის სახელობის მე-20 საჯარო სკოლა** გახდა ამ სტატუსის მქონე პირველი საჯარო სკოლა. გარდა ამისა, გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება თავისთავად გულისხმობს ინტენსიური კონტაქტების დამყარებას გერმანიის საშუალო სკოლებთან და მათთან გაცვლითი პროგრამების ამუშავებას.

დღესდღეობით სკოლას აქვს პარტნიორული ურთიერთობა გერმანიის **ქ. აისლებენის წმ. ეკატერინეს სახელობის საშუალო სკოლასთან**. ამა წლის 24 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე მე-20 სკოლის 14 საუკეთესო მოსწავლე გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა ქალაქ **აისლებენში**. მოსწავლეებს თან ახლდნენ: სკოლის დირექტორი **ლელა ნერგაძე** და ორი გერმანულის მასწავლებელი **თამარ საბანაძე და სოფო ბზეკალავა**.

პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა პროექტი **„წმ. ნინო და მარტინ ლუთერი - რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოსა და გერმანიაში“**. გერმანიაში ვიზიტი დედაქალაქის სტუმრობით დაიწყო. მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაეთვალიერებინათ ბერლინის ღირსშესანიშნაოებები: ბრანდერბურგის ჭიშკარი, რაიხსტაგის შენობა, ცნობილი ბერლინის კედელი და სხვა. ვიზიტი გაგრძელდა **მარტინ ლუთერის** მშობლიურ ქალაქ **აისლებენში**, სადაც ქართველი მოსწავლეების ჯგუფს პარტნიორი სკოლა ელოდებოდა. მოსწავლეები გადანაწილდნენ ოჯახებში და დაიწყო მათთვის უჩვეულო გერმანული ყოველდღიური ცხოვრება. ისინი ესწრებოდნენ გაკვეთილებს, რის საშუალებითაც პრაქტიკულად გაიცნეს გერმანიის სკოლის სისტემა, რომლის შესახებაც მხოლოდ თეორიული ცოდნა გააჩნდათ. გერმანელი და ქართველი ბავშვები ერთობლივად მუშაობდნენ პროექტზე, **„მარტინ ლუთერის ცხოვრების კვალდაკვალ“** ათვალიერებდნენ ირგვლივ მდებარე ქალაქებს, სტუმრობდნენ მუზეუმებს, მნიშვნელოვან ეკლესია-მონასტრებს, ციხესიმაგრეებსა და სხვა მრავალ ღირსშესანიშნაობებს.

ქართველი მოწავლეების სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქ. აისლებენისა და თვით საქსონია-ანჰალტის დედაქალაქ მაგდებურგისთვისაც. მათ ოფიციალური მიღება მოუწყვეს ქალაქ აისლებენის მერიაში და ადგილობრივ პარლამენტში. რამდენიმე გაზეთში გაშუქდა ქართველი მოსწავლეების ვიზიტი გერმანიაში.

ათდღიანი ვიზიტი გერმანიაში დაუვიწყარი და შთაბეჭდილებებით აღსავსე აღმოჩნდა ქართველი და გერმანელი მოსწავლეებისთვის. ქართული მხარე მოუთმენლად ელის პარტნიორი სკოლის ვიზიტს სამშობლოში.

ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე **ცოტნე ძმანაშვილმა** გაიმარჯვა ლიტერატურულ კონკურსში „Lsefuchs“, რომელიც ჩატარდა გოეთეს ინსტიტუტში, გერმანული ენის სადიპლომო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. გამარჯვების საფუძველზე მან მიიღო პედაგოგიური გაცვლითი სამსახურის სტიპენდია და გაემგზავრა 4 კვირით გერმანიაში, სადაც დაესწრო გერმანული ენის კურსებზე და სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ცოტნემ დასკვნით ეტაპზე მიიღო მონაწილეობა ბერლინში საერთაშორისო ლიტერატურულ კონკურსზე.





პედაგოგი ია ხაჩიძე მოსწავლე ცოტნე ძმანაშვილი

ასე რომ, სკოლის ყველა პედაგოგი მზად არის შემოქმედებითად, გატაცებით იზრუნოს სწავლების ხარისხის ეფექტიანობისა და მაღალი შედეგების მისაღწევად.

**ესაუბრა ბორის მიშველაძე**

**P. S. „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ყველა მოსწავლესა და პედაგოგს ულოცავს დამდეგ შობა-ახალ წელს და გამარჯვებებს უსურვებს.**



# Gäste staunen über Disziplin

**KONTAKTE** Eine Gruppe junger Georgier besucht Katharinenschüler in Eisleben. In Privatunterkünften untergebracht, lernen sie hier Land und Leute kennen.

VON KATHRIN LABITZKE

EISLEBEN/MZ - „Die Disziplin ist beeindruckend" - das war das Erste, was den Schülern aus Georgien in Deutschland imponierte. Das sagt jedenfalls Rati Peikrischwili aus Tbilissi, der Hauptstadt der Kaukasus-Republik. Zur Zeit sind 17 Schüler und drei Lehrerinnen aus Georgien in Eisleben zu Besuch. Ihr Anliegen: In der Lutherstadt die Neuntklässler der Katharinenschule kennenlernen, mit ihnen gemeinsam an Projekten arbeiten und auch gemeinsam Freizeit verbringen.

„Es ist ein spannendes Projekt", so die Klassenlehrerin der 9K4, Diana Nathanael. Wie Lucas Pechara aus Eisleben zugibt, wusste er zwar, dass es ein Land namens Georgien gibt, aber der Schüler hatte sich bisher mit diesem Land noch nicht näher beschäftigt. Deshalb haben sich die Schüler im Vorfeld mit der Klassenlehrerin und einem weiteren Lehrer der Katharinenschule, Klaus Musielak, intensiv über die Kaukasus-Republik informiert.

„Die georgischen Schüler sind echt nett und wir werden nach dem Besuch via WhatsApp und Facebook in Verbindung bleiben", war sich Celina Tretschok aus Eisleben sicher. Wie die Schüler der 9K4 erzählten, soll ihre Abschlussfahrt nach Beendigung der Regelschulzeit nach Georgien führen.

Auf diesen Gegenbesuch bei ihnen freuen sich die Schüler aus Georgien schon jetzt, wie sie bei der Besichtigung der Heimatstube in Polleben erzählten. Dann möchten sie den Schülern aus Eisleben ein spannendes Erlebnis bereiten, „ebenbürtig, wie wir die Tage hier in Deutschland erleben dürfen", verspricht Mariam Pholadishvili.

Mariam besucht in Tbilissi die 11. Klasse der 20. öffentlichen Schule „Guram Ramischwili". Bereits ab der dritten Klasse wird an der Schule Deutsch unterrichtet, und deshalb war die Kommunikation mit den deutschen Schülern auch kein Problem. Genau wie Mariam möchten der 15-jährige Rati und die 16-jährige Maro später einmal in Deutschland studieren, und sie lernen deshalb besonders intensiv unsere Sprache.

Damit sich die 17 Schüler auch mit der deutschen Mentalität vertraut machen können, wohnen sie bei Gastfamilien. Eine Woche dauert ihr Aufenthalt in Deutschland, und Klaus Musielak und Diana Nathanael haben für diese kurze Zeit ein intensives und interessantes Kulturprogramm für die Jugendlichen gestrickt. Neben Besuchen in der Polleber Heimatstube und auf dem Schloss Mansfeld standen gemeinsame Abstecher in die Landeshauptstadt Magdeburg und nach Bad Frankenhausen auf dem Programm.

Am Samstag geht es für die Schüler aus Georgien nach Berlin. An diesem Tag wollen sie die deutsche Hauptstadt soweit es g[...] erkunden. Denn schon am So[...]tag steigen die jungen Georgi[...] in ein Flugzeug, das sie [...] Berlin aus zurück in ihre Heim[...] bringt.

Gemeinsame Projekte, gemeinsame Freizeit: Maro, Mariam, Jasmina, Celina, Rati und Lucas (v. l.).

Die Schüler und Lehrer aus Eisleben und Tbilissi.

FOTOS (2): KATHRIN LABITZKE

## მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე სკოლა

# მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია



**დაარსებიდანვე** ჩინებული სტარტი აიღო ამ სახელოვანმა სკოლამ და მას შემდეგ წარმატებებს წარმატებებზე აღწევდა. შედეგიანობის თამასა დაბლა არასოდეს დაუწევია. დღესაც ახალ-ახალი წარმატებებით გამორჩეულია. ყველაფერ ამაში დიდია ყოფილი დირექტორების **გურამ დევდარიანის**, **ალუდა გოგლიჩიძის** და სხვათა დამსახურება.

**აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის 42-ე საჯარო სკოლა** ერთ-ერთი სანიმუშო და გამორჩეულია ქვეყანაში. სკოლის ძირითადი დანიშნულებაა მოამზადოს განათლებული ახალგაზრდა ლიდერები, ამ ამოცანას იგი ხუთიანზე ასრულებს. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მიიღონ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი აკადემიური განათლება, განუვითარდეთ ლოგიკური კრეატიული აზროვნება.

2012 წლიდან სკოლის დირექტორია გამობრძმედილი პედაგოგი, ფიზიკის ჩინებული მასწავლებელი **ნუგზარ კედელაშვილი**. მისი თაოსნობით სკოლაში მრავალი სიახლე და ინოვაციური პროექტი განხორციელდა. ის მუდმივად ისწრაფვის ფეხი აუწყოს ახალ საგანმანათლებლო გამოწვევებს, ზრუნავს პედაგოგების პროფესიულ განვითარებასა და მოსწავლეთა ხარისხიან განათლებაზე.

ამ დიდებულ საქმეში დირექტორს მხარში ენერგიულად უდგანან ბრწყინვალე მოადგილე **თემურ გაჩეჩილაძე** და მთელი პედაგოგიური გუნდი. სასწავლო წელს სკოლა მომზადებული და ორგანიზებული შეხვდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბიბლიოთეკას, განახლდა ინფრასტრუქტურა, მოეწყო საკლასო ოთახები და სასწავლო ლაბორატორიები.

ყოველთვის ასე იყო და დღესაც ძლიერია პედაგოგიური კადრები, ნახევარზე მეტი სერთიფიცირებულია. მათემატიკის პედაგოგ **ლელა მამულაშვილს** დანიშნული აქვს 1000 ლარიანი ხელფასი.

გასულ სასწავლო წელს 13-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა, აქედან ხუთმა ოქროს, ხოლო რვამ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ყველა კურსდამთავრებული გახდა სტუდენტი. ბევრი საზღვარგარეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში სწავლობს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით ამ სკოლის მოსწავლეებმა მათემატიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ჩამბარებელ აბიტურიენტებს შორის სხვადასხვა უნივერსიტეტებში პირველი ადგილი დაიკავეს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ექვსი მოსწავლე პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.

მეტად მაღალია მოსწავლეთა სისტემატური ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მაღალი შედეგებით. ა. წ. იანვარში ყაზახეთის ქალაქ ალმა-ატაში ჩატარებულ ჟაუტიკოვის სახელობის XI საერთაშორისო ოლიმპიადაში ახალგაზრდებმა ფიზიკაში ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

2015 წლის ივნისში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრებმა ახალგაზრდა ნატურალისტთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სერბეთის ქალაქ ბელგრადში ჩატარდა, ოქროს მედლები მოიპოვეს.

მათემატიკის საერთაშორისო დისტანციურ ოლიმპიადაში **„მესამე ათასწლეული“**, რომელიც ყოველწლიურად სანქტ-პეტერბურგში ტარდება I, II და III ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს.

ინტელექტუალურ შეჯიბრში – **„რა, სად, როდის“** სკოლის გუნდმა ძველი თბილისის რაიონის სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მოსწავლეთა კონფერენციაში **„ჩვენ ვიცავთ თანატოლების უფლებებს“** 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

ჩამონათვალი შორს წაგვიყვანს, იგი ძალზე ბევრია.

ფიზიკისა და მათემატიკის გარდა სკოლაში საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება ჰუმანიტარული საგნები.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში საქართველოს მასშტაბით გამართულ მოსწავლეთა 69-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე IX კლასის მოსწავლემ **მარიამ მანწკავამ** ქართული ლიტერატურის სექციაში რესპუბლიკის მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა.



წარმატებულად მუშაობს სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის გუნდი. 2014-2015 სასწავლო წლის სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მეორე ტურის შედეგად გამარჯვებულთა შორის ხუთი 42-ე სკოლის მოსწავლეა.

წარმატებულად ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი **მ. მოსიავა**). იგი საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრია. სკოლამ შეიძინა ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი „Openbiblio“.

საბიბლიოთეკო პროგრამა „Openbiblio“ განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბების მიმართულებები: ევროინტეგრაცია, გაერო, ნატო, გარემოს დაცვა, თანადგომა, ჯანსაღი ცხოვრების წესი. ყველა ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები თვითონ ქმნიან პროექტებს და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობებს. ეს ახალისებს სასკოლო ცხოვრებას და სასწავლო მოტივაციის საუკეთესო ფორმაა.

მრავალი რამ შეიძლება ითქვას 42-ე საჯარო სკოლაზე, მის მაღალკვალიფიციურ პედაგოგებზე და წარმატებულ მოსწავლეებზე. სკოლა ცდილობს არ ჩამორჩეს თანამედროვე მოთხოვნებს და მუდმივად ისწრაფვის მიიზიდოს, განავითაროს და აღზარდოს ინტელექტუალური, მიზანდასახული და განათლებული ახალგაზრდები, რომლებიც საზოგადოებაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ. დიახ, ეს ასეც იქნება.

კიდევ ცოტა და ახალი წელი მობრძანდება, გილოცავთ, ბედნიერებას, ზღვა სიხარულს გისურვებთ ვეკუას სკოლელებო!

**ბორის ევგენიძე**

## კათედრა — კეთილი კოორდინატორი

# სასწავლო პროცესი უფრო ეფექტიანი რომ იყოს

**106-ე საჯარო სკოლის** დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კათედრა აერთიანებს ათ მასწავლებელს. გატაცებით, საქმის სიყვარულით მოღვაწეობენ გამოცდილი პედაგოგები: **მარინე კუპატაძე**, **მარი სანიკიძე**, **დოდო გურგენიშვილი**, **შორენა იმედაიშვილი**, **ლელა გვაზავა**, **ფატი სამნიაშვილი**, **ხათუნა გასიტაშვილი**, **ნაზი სეთურიძე**, **ლია გასიტაშვილი**, **რიტა ყიფშიძე**. კათედრის ხელმძღვანელია **დოდო გურგენიშვილი**. აღსანიშნავია, რომ მათი 80% სერთიფიცირებულია და მთელი ენთუზიაზმით ვცდილობთ მხარი ავუბათ სიახლეებს, ინოვაციური მეთოდების დანერგვას განათლების ამ პირველ საფეხურზე.



სკოლის მშვენება

მიმდინარე სასწავლო წლიდან ჩართულნი ვართ დაწყებითი განათლების პროექტში „G-praied“, რომლის ფასილიტატორები არიან **მარინე კუპატაძე** და **ფატი სამნიაშვილი**. პროექტში მუშაობა გაზრდის ჩვენს პროფესიულ კარიერას, მისი დახმარებით გაკვეთილები და აღმზრდელობითი პროცესი უფრო საინტერესო, სახალისო და მოტივირებული გახდა.

წლის დასაწყისში გაწერილი გეგმით მიმდინარეობს ღია გაკვეთილებისა და ღონისძიებების ჩატარება. აქტიურად ვთანამშრომლობთ. მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად ვიკრიბებით, ვაძლევთ ერთმანეთს საჭირო რჩევებს.

ჩვენი კათედრა დღევანდელობის არცერთ გამოწვევას და სიახლეს არ ტოვებს უყურადღებოდ. სისტემატურად ვესწრებით ტრენინგებს სხვადასხვა საგანში. ვმონაწილეობთ სხვადასხვა ღონისძიებებში: **ზღაპრის კვირეულში**, **რბილი სათამაშოების კონკურსში** და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი მოსწავლეები უამრავ ოლიმპიადაში იღებენ მონაწილეობას, სადაც უმრავლესობა I, II, III ადგილებს იკავებენ. გვყავს ვერცხლისა და ოქროს ათეულის წევრებიც. ეს ჩვენთვის და ჩვენი მოსწავლეებისათვის კარგი მოტივაციაა. იმედი გვაქვს წელს უკეთესი შედეგებიც გვექნება.



კათედრის სხდომა

წარმატებები განაპირობა კარგმა სასკოლო გარემომ, რომელიც ჩვენმა დირექტორმა ბატონმა **თენგიზ გულორდავამ** შეგვიქმნა: გარემონტდა საკლასო ოთახები, მოიხატა დერეფნები, გალამაზდა სკოლის ეზო. დირექტორმა საკუთარი ხელით გააკეთა პატარა აუზი, რომელიც თავისი ხელოვნური თევზებითა და გედებით პატარების დიდ მოწონებას იმსახურებს. ჩვენი კათედრის მასწავლებლებისათვის მოაწყო პატარა, მყუდრო სამასწავლებლო, შეგვიძინა თვალსაჩინო მასალა. ნებისმიერ საქმიან წინადადებას დიდი გულისყურით ეკიდება და მხარში გვიდგას.

ამ კომფორტულ გარემოს დამატებული ჩვენი პედაგოგების გამოცდილება-გატაცება, შრომის სიყვარული ქმნის გარანტიას, რომ დაწყებითი განათლების საძირკველი მტკიცე იქნება, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი კი – უფრო ხალისიანი და ნაყოფიერი.

**ხათუნა გასიტაშვილი**

სახალხო განათლება +



**თბილისის 86-ე საჯარო სკოლაში**

# აქ სამშობლოს უზრდიან ინტელექტუალებს

**მკითხველი** დამეთანხმება, რომ სკოლა ის წმინდა ტაძარია, სადაც დაუშრეტელად მიედინება ცოდნა და გვასაზრდოებს იმ საუნჯით, რომელიც ფასდაუდებელია ამ ქვეყნად.

ყველა სკოლა თავისი ღირსეული წარსულითა და ტრადიციებით გამოირჩევა. ერთ-ერთი მათგანია თბილისის 86-ე საჯარო



სკოლა, რომელიც დედაქალაქის ულამაზეს ადგილას, ზემო ავლაბარში, ელიას გორაზე, მახათას მთის კალთაზე ნაძვების ჩრდილში აღმართულა და მოკრძალებით მასპინძლობს ყველა ცოდნასმოწყურებულ ყრმას.



სამამულო ომის პერიოდში ამ შენობაში სამხედრო ჰოსპიტალი განთავსებულა. ომის შემდგომ კი სამედიცინო დაწესებულება კეთილშობილ გოგონათა პანსიონატად გადაუკეთებიათ, 1957 წლიდან კი ამ შენობაში თბილისის 86-ე ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტექნიკური სკოლა ფუნქციონირებდა.

ამ სკოლის კედლებში არაერთ წარჩინებულ მოსწავლეს უსწავლია და ახლაც ტრადიციადაურღვევლად იზრდება მათი რიცხვი. სკოლის თითოეული მუშაკი ზრუნავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე, რომელიც სწავლების ხარისხს მნიშვნელოვნად აამაღლებს. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებებში, ოლიმპიადებსა და ტრენინგებში. მოსწავლეები ჯილდოვდებიან „Everest"-ისა და „Kings"-ის ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებებისათვის. ახლახან გამართულ იაკობ გოგებაშვილის დაბადების 175 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონკურსში სკოლამ სხვადასხვა ნომინაციებში მოიპოვა დიპლომები და საჩუქრები. ჰყავთ ეროვნულ სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები. სკოლა აგრეთვე ამაყობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში მიღწეული წარმატებებით. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში თბილისის ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონი სკოლის მოსწავლეებს შორის კრივში გახდა მე-7 კლასის მოსწავლე **ტიგრან შატვეროვი**. ხოლო მე-10 კლასის მოსწავლე **ილია ისრაელიანი** მიღწეული წარმატებების საფუძველზე – საქართველოს 16 წლამდე ასაკის ვაჟთა კალათბურთის ნაციონალური ნაკრების გუნდ „იბერიის" წევრია.

თანამედროვე სასწავლო მეთოდებით პედაგოგები მუდმივად ზრუნავენ სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებითა და გამოცდილებების გაზიარებით კი კოლეგები აღწევენ პროფესიულ ზრდას.

სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით დამრიგებლები სისტემატურად ატარებენ კლასის საათს, სასკოლო და საკლასო ღონისძიებებს, რომლებიც ეხმარება მათ აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაში. გეგმავენ და ახორციელებენ ექსკურსია-ლაშქრობებს, საქველმოქმედო და თეატრალიზებულ ღონისძიებებს მოსწავლეთა ინტელექტუალური უნარების გასავითარებლად.

სკოლას ბევრი ნიჭიერი კურსდამთავრებული ჰყავს. ზოგიერთი მათგანი ამჟამად საზღვრებს გარეთ იღწვის, ზოგიც ჩვენი სამშობლოს ღირსეულ მომავალს ემსახურება. მათ შორის არიან ექიმები, მუსიკოსები, ინჟინერ-გამომგონებლები, პედაგოგები...

სადღეისოდ კი სკოლაში ბევრია ცოდნითა და ყოფაქცევით გამორჩეული მოსწავლეები. უნდა დავასახელოთ: **სოფო ყაველაშვილი**, **ელინა გასპაროვი**, **ედუარდ ჯიჯიშვილი**, **ქრისტინა ზგირვაჩი**, **ნინო ციცქიშვილი**, **სოფიკო ხურციძე**, **გვანცა იორამაშვილი**, **თამარ გაბოიანი**, **დიმიტრი ფარქოსაძე**, **ელენე ისრაელიანი**, **ნატალია ვაჩეიშვილი**, **ანა ჯაგაშვილი**, **არტიომ შაინიანი**, **ნიკა ჩაფიძე**, **ილია არჯევანიძე** და სხვები. მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობიდან ქების ღირსნი არიან: **დავით ავაქოვი**, **ანა-მარია აკვაზბა**, **მარგარიტა მანოიანი**, **მანანა ხაჩიძე**, **ნიჟნა ნახაპეტიანი**, **ანა გულვერდაშვილი**. ასე რომ, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები გვერდიგვერდ მეგობრულად იზრდებიან.



სკოლა ზრუნავს მაქსიმალურად ჩართოს სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მშობლები, რისთვისაც მათთან სისტემატურად ატარებს შეხვედრებს, ექსკურსიებს და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

სკოლაში 8 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა, რომელთა აღზრდა-განათლებაზეც თავდაუზოგავად ზრუნავენ სკოლის ფსიქოლოგი **მანანა ბურდული** და სპეცპედაგოგი **ნინო ჯანიაშვილი**.

სიძველის გამო შენობა არასახარბიელო მდგომარეობაშია, იგი ავარიულია. საექსპერტო დასკვნის თანახმად სკოლის კორპუსების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მიმდინარეობს სკოლის შენობის დემონტაჟისა და ახალი სკოლის შენების პროცესი.




ახალი სკოლის აშენებისთანავე, როგორც კი სკოლა ფუნქციონირებას დაიწყებს, გაუმჯობესდება სწავლის ხარისხიც და მოსწავლეთა რაოდენობაც მოიმატებს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ სკოლას ჰყავს გამორჩეული, სერთიფიცირებული პედაგოგები: **ხათუნა სეფიაშვილი**, **შორენა ხვედელიძე**, **ირმა ჯავახიშვილი**, **ნესტან ღუდუშაური** (დოქტორანტი), **შორენა საგინაშვილი**, **ვიოლეტა ვოსკანიანი**, **ანაიტ მუტაფიანი**, **სოფიო ასტვაცატუროვა**, **მანანა ტაბუაევა** და მიზანდასახული პედაგოგიური კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს ნიჭიერი, მოტივირებული, შემოქმედებითი და მორალური ღირსებებით დაჯილდოებული დირექტორი – **ნანა ქაჯაია**.



მას მხარში უდგას განათლების სფეროს საკმაოდ გამორჩეული პიროვნება, დირექტორის მოადგილე **ნაირა დოლიძე**.

მასწავლებლებს დიდი იმედი აქვთ მომავლის! რადგან ღრმად სწამთ, რომ უფლის შემწეობითა და ღირსეული დირექციის ხელშეწყობით ახალი სკოლის კედლებში უამრავ წარმატებას მიაღწევენ. კვლავაც აღზრდიან სასახელო თაობებს ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ახალ-ახალი იდეებითა და შედეგებზე გათვლილი საქმიანობით. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, 86-ე სკოლელებო!

**რომან მოსეშვილი**






# „ჰეი, ბავშვობის დღეებო,

# „ისეთ შვილად გავიზრდები, საქართველოვ, შენ რომ გინდა“



**ტრადიციულად** და დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისადაც, სხვა ბაგა-ბაღების მსგავსად, რუსთავის მე-40 ბაგა-ბაღის კედლებზე, პირველ და მეორე სართულებზე განლაგებულ სათამაშო ოთახებში უამრავი ნახატი, წარწერა, ფოტო და თვითნაკეთი ნივთია გამოფენილ-გაკეთებული.

აქაც, როგორც სხვა ამგვარ დაწესებულებებში, დროდადრო ტარდება მიზანმიმართული ღონისძიებები, ეწყობა ექსკურსიები, მოზარდები მიჰყავთ თეატრალურ საბავშვო სპექტაკლებზე... დიდი თუ პატარა თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ ის, რაც აქ მიმდინარე წლის 30 ნოემბერს ჩატარდა, ქალაქის მრავალრიცხოვან სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის არცერთ ობიექტში არ ჩატარებულა დღემდე.

ამ ღონისძიების მსვლელობისას და შემდეგაც კი, ბევრს გაუჩნდა სურვილი, რომ ასეთი საღამოები ყველა ბაგა-ბაღში ჩატარდეს.

მოკლედ, დიდი ხანი არ არის, რაც ა.ა.ი.პ. ქალაქ რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების მე-40 ფილიალს ახალგაზრდა ნიჭიერი, შემოქმედებითი პოტენციის პოეტი ქალბატონი, პროფესიით – პედაგოგი, **ლალი მჭედლიძე** ჩაუდგა.

...იყო მცირეოდენი წინააღმდეგობები, ეჭვებიც, მაგრამ განვლილმა დრომ ყველაფერს წარმატებული გაგრძელება შესძინა და ეს მრავალრიცხოვანი დაწესებულება მე-17, კომპაქტურად დასახლებული მიკრორაიონის წარმატებულ ობიექტად იქცა, რასაც, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, მოზარდთა მშობლები ადასტურებენ.

ახალმა ხელმძღვანელმა ყველა თანამშრომელთან საქმიანი და საუკეთესო ურთიერთობა დაამყარა.

მან, სრულიად უხმაუროდ და უპრეტენზიოდ შეძლო მაღალი შრომითი და სასწავლო დისციპლინის დამყარება.

მან ძალიან ადვილად შეიყვარა მოზარდები, საქმიანი ურთიერთობებისათვის განაწყო მშობლები და მცირე ასაკიდანვე მოზარდთა ეროვნული ცნობიერების გასაღვიძებლად ბევრი რამ დაგეგმა.

**ლალი მჭედლიძემ** – ყველას, დიდსა და პატარას, მხოლოდ თვითონ, ქალს, პოეტს, პიროვნებას, დედას რომ ახასიათებს და ხელეწიფება, თვალებში კი არა, სულში ჩახედა, მარტო ყურით კი არა, გულისყურით მიაყურადა პატარებს, კოლეგებს, რათა ყოველდღიურობის ჩვეულებრივ სტე-



რეოტიპს ვერარიდებული დაწესებულება შემოქმედებით, მუდამ ახლის ძიებაში და მოლოდინში მყოფ დაწესებულებად ექცია.

ახლა აქ მშობლებს მოსვლა უხარიათ.

ახლა აქ, სრულიად თავისუფლად, ლაღად გრძნობენ თავს აღმზრდელები და ძიძები.

ახლა აქ, ლალი გამგე ყველა პატარას გამორჩეულად უყვარს. შეგნებულად არაფერს ვამბობთ საბავშვო ბაგა-ბაღის გარემოზე, კვებისა და დასვენების რეჟიმზე, სასწავლო-საგანმანათლებლო, აღმზრდელობით-შემეცნებით-გასართობი პროგრამების პრაქტიკაზე, აქ, ამ მხრივ მთელი კოლექტივის უდიდესი მონდომებით, შესანიშნავ დონეზეა აწყობილი ყველაფერი... მაგრამ აბა გულზე ხელი დავიდოთ და ხმამაღლა ვაღიაროთ, ვიცით კი თითოეულმა დედამ, მამამ, ბებიამ, ბაბუამ, ზოგადად უფროსებმა, ვის ვანდობთ, როგორი სულიერების ადამიანების გვერდით ვტოვებთ ჩვენს პატარებს მთელი დღის განმავლობაში? როგორ პიროვნებებს და მოქალაქეებს ვუტოვებთ ჩვენს მოზარდებს გასაზრდელ–აღსაზრდელად, ვიცნობთ კი მათ, როგორც საზოგადოების ღირსეულ წევრებს?

კმარა კი დღეს, სახლში მოსულ მოზარდს მხოლოდ ის ვკითხოთ, კარგად დანაყრდა თუ არა?

კატეგორიულად, არა. თუკი ჩვენ, მთელს ქართულ საზოგადოებას გვსურს ევროპელობა და ევროპელებთან კავშირი, თუკი გვსურს ჭეშმარიტად თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების აშენება, იმასაც უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენი დროის მოზარდს, სულიერების, ზნეობრიობის, ზოგადად ცნობიერებისა თუ სამყაროს შეცნობიერების თვალსაზრისით სხვანაირი მიდგომები, აღზრდა სჭირდება და ეს პირველ რიგში, სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებს უნდა ესმოდეთ.

და ფაქტიც სახეზეა: ქალბატონმა **ლალი მჭედლიძემ** 30 ნოემბერს საგანგებოდ მორთულ მაღალესთეტიურ გარემოში თანამშრომელთა შემოქმედებით საღამოზე დასასწრებლად სტუმრად მოუხმო მშობლებს, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს ა.ა.ი.პ. რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელებს, რათა ყველას ერთად გაეთავისებინა და ახლოს გაეცნო ის გარემო და ადამიანები, ვისაც აღსაზრდელად ვანდობთ ჩვენს შვილებს.

ღონისძიებას თავად ფილიალის გამგე უძღვებოდა-პოეტურად, თეატრალურად, აკადემიურად-საინტერესო, ფილოსოფიური, ბევრისმთქმელი მონოლოგებით და დიალოგებით – აუდიტორიასთან.

ღონისძიების მთავარი პერსონები კი ხაზგასმით გახმაურდნენ: პედაგოგი **ნინელი ბეინიშვილი** და პოეტი-ქალბატონი, რუსთავის სკოლამდელი დაწესებულებების ღვაწლმოსილი მუშაკი, მეცხრამეტე მიკრორაიონში მდებარე ბაგა-ბაღის ყოფილი გამგე, ამჟამად მე-40 ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი **ნორეტა გელაშვილი**. ამ ორი ამაგდარი ქალბატონის შესახებ ბევრი რამ ითქვა, ღონისძიებაზე სტუმრადწვეულმა პოეტმა **თამარ ჯაჭვაძემ** კი ნორეტა გელაშვილის ლექსები წაუკითხა აუდიტორიას.

სიტყვით გამოსვლისას რუსთავის საპატიო მოქალაქემ, ჟურნალისტმა **თინათინ სიყმაშვილმა** და მე-5 სკოლის წარჩინებულმა პედაგოგმა **მელანო მჭედლიშვილმა** აღნიშნეს, რომ ასეთი გულწრფელი შეხვედრები საზოგადოებისათვის საცნაურს ხდის წარმატებებსაც და ნაკლსაც, საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს ბევრ რამეს ეუბნება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მეზობელი ბაგა-ბაღის გამგეები **ლალი ნოზაძე** და **ნელი მჭედლიძე**, სტუმრები თბილისიდან: რეჟისორი **მარინა კოლხიდაშვილი**, მხატვარი **ნინო ნაკვეთაური**, „ნიჭიერში“ მონაწილე მომღერლები **გოჩა ჭაბუკაიძე** და **ამალია ჯიბლაძე**, ქვემო ქართლის გუბერნიის თანამშრომლები: **ლევან ჟვანია** და **სოსო პირველი**, საკრებულოს თანამშრომლები: **ნინო ლომიძე**, **გოჩა შავიძე** და **თინათინ ბარათაშვილი**, ა.ა.ი.პ.-ის ხელმძღვანელი **გიორგი მაღლაფერიძე** და ამავე სამსახურის თანამშრომელი **კახა ქოჩიაშვილი**, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე **გიორგი გოროზია** და სხვები. ყველა მათგანმა კმაყოფილება გამოთქვა ჩატარებული ღონისძიების გამო.

მაყურებელს ღონისძიებაზე თავიანთი შემოქმედებით თავი მოაწონეს აღმზრდელებმა: **ხათუნა მაღრაძემ**, **ხათუნა გურგენიძემ**, **ნატალია ნატროშვილმა**, **თამილა მჭედლიძემ**, **ნინო რობაქიძემ**... დარბაზს ამშვენებდა **ნინო რობაქიძის** ხელით შექმნილი ნაქარგები და მშვენიერი ნახატები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: **დაჩი ჩოფლიანი**, **დემეტრე მოსიძე**, **თემურ დარსაველიძე**, **მარიამ ტაბატაძე**, ამ ბაგა-ბაღის აღზრდილები: **გიორგი ალიხანაშვილი** და **ლუკა გორგაძე**, რომლებიც შესანიშნავად ცეკვავდნენ.

ღონისძიება შეაჯამა **გიორგი მაღლაფერიძემ.** მან აღნიშნა: მე-40 ბაგა-ბაღის კოლექტივმა თავისი ნიჭიერებით და ამ ღონისძიების მიზანმიმართულებით გვიკარნახა, რომ ახლო მომავალში მსგავსი დაწესებულებების შემოქმედებითი ძალების მონაწილეობით ქალაქის მუნიციპალურ თეატრში დიდი საქველმოქმედო კონცერტი ჩავატაროთო, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი სტუმრებმა და მასპინძლებმა.

...ამჟამად რუსთავის მე-40 ბაგა-ბაღში 447 აღსაზრდელია. ისინი ერთი შეხედვით ერთ ჩვეულებრივ ბაგა-ბაღში მიდიან და ბრუნდებიან, რეალურად კი მათ ამ დაწესებულებაში მთელი დღის განმავლობაში იმ ნიჭიერი, მაღალზნეობრივი, სულიერად დახვეწილი, ღირსეული ადამიანების გვერდით უხდებათ ცხოვრება, ვისთანაც თავს ჭეშმარიტად ბედნიერ ბავშვებად გრძნობენ და ღირსეულ მამულიშვილებად იზრდებიან, ისეთებად საქართველოს მომავალს რომ სჭირდება.

**ლია მარტაშვილი,**
კორესპონდენტი ქვემო ქართლიდან



# დაბრუნდებოდეთ ნეტავი!“



**ამ** ბაგა-ბაღის დირექტორი სამეცნიერო ხარისხის მფლობელია. **მედეა ჩაჩიბაიას** დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ასპირანტურა, არის პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. მას საკმაოდ დიდი სტაჟი და გამოცდილება დაუგროვდა თავისი მოღვაწეობის პერიოდში, მუშაობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა თბილისის 60-ე სკოლაში, მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროს მასწავლებლად და სტუდენტებს თავის ცოდნას უზიარებდა მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში.

თბილისის 87-ე ბაგა-ბაღი ასეთი გამოცდილი ხელმძღვანელის ხელში გაძლიერდა და გამშვენიერდა.

დირექტორის დამსახურებაა ის, რომ ბაღი საუკეთესო ბაღთა შორის საუკეთესოა, მოწესრიგებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმაღლეს დონეზე იდეალურად სუფთა გარემოში უწევთ ბავშვებს მეცადინეობა, დასვენება, გართობა, კვება თუ ძილი. დირექტორის მოადგილე **მანანა მიქაძე** აგრეთვე აქტიურად არის ჩართული ბაღის მუშაობაში. ის გამოცდილი თანამშრომელია. ადრე იყო 195-ე ბაღის დირექტორი.

ბაღში საუკეთესო აღმზრდელთა გუნდია საუკეთესო თანაშემწეებით. აღმზრდელები: **ლილი ბლიაძე**, **ია ჯინჭარაძე**, **მანანა ჭაბუკიანი**, **რუსუდან ასათიანი** და **ნათელა ხუციშვილი**. მათ თანაშემწეობას უწევენ: **ნინო დოლიძე**, **ქეთევან თხელიძე**, **ნაირა ლაბაძე**, **თამარ უერთაშვილი**, **ნელი ზალდასტანიშვილი**, **ირა ტორაძე**, **მარიამ ტატუაშვილი**. აღმზრდელები და მათი თანაშემწეები მთლიანად მობილიზებულები არიან, რომ მათი მუშაობა პატარებთან იყოს პროდუქტიული, მათი სწორი სააღმზრდელო პროცესების წარმართვის შედეგია, რომ პატარებისთვის ბაღი არის სახალისო და არა მოსაწყენი და მოსაბეზრებელი გარემო.

ბაღში ფუნქციონირებს მოსამზადებელი ჯგუფი, სადაც ახალი პროგრამებით ხდება ბავშვთა მომზადება სკოლისთვის. ბაღში გახსნილია მწიგნობრობის კუთხე, სადაც ბავშვები ეცნობიან ქართულ ტრადიციულ და საზღვარგარეთის ლიტერატურას, ამასთან აქვთ საკუთარი ბიბლიოთეკა საინტერესო ლიტერატურით, ნახატებით თუ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალებით.

ბაღის პერსონალი ზრუნავს ბავშვების უსაფრთხოების დაცვის კონვენციაზე, რომ არ მოხდეს პატარების უფლებების დარღვევა, თუნდაც ოჯახებში. ბაღი ზრუნავს, სწორად მიუდგეს პრობლემური ქცევის აღსაზრდელებს და ყველაფერს აკეთებს შექმნას, საერთო პოზიტიური სოციალური გარემო თითოეული აღსაზრდელისთვის. აქტიურადაა ჩართული მათი კეთილგანწყობის ამაღლებისთვის გატარებულ ღონისძიებებში.

**გამარჯობათ, 87-ე ბაგა-ბაღელებო!**

## ცეროდენებო, ბედნიერია ბავშვობა თქვენი

აქ ფუნქციონირებს მუსიკის და ცეკვის წრე, სადაც პატარები ეცნობიან საშემსრულებლო ხელოვნების ელემენტებს. მუსიკის მასწავლებელი – **ცისანა ცნობილაძე**, ახერხებს იმას, რომ ბავშვები სულ ამაღლებულ ხასიათზე იყვნენ და ამასთან, ასწავლის იმ საბავშვო სიმღერების შესრულებას, რომლებიც ჩვენმა შესანიშნავმა კომპოზიტორებმა შექმნეს პატარებისთვის. მუსიკის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან: **ნინო ცქიტიშვილი**, **მაშო თევზაძე**, **თამარ გვარამია**, **ელენე მაჭავარიანი**, **ანასტასია მესხი**, **ნიკოლოზ ჩიბუხაშვილი**, **მარიამ ბერიაშვილი**, **სესილი წილოსანი**, **გიორგი ბადუაშვილი**, **ნინო გულორდავა**, **ელენე გულაშვილი** და სხვები. ცეკვის წრეს ხელმძღვანელობს **მარინა აბაკელია** და აქვე გვინდა ჩამოვთვალოთ ის ნორჩი მოცეკვავეები, რომლებისთვისაც ასე ახლობელია ცეკვის თითოეული ილეთი და მოძრაობა. ესენია: **დეა სპანდირაშვილი, ბარბარე გოგოშილი, ანასტასია ნიშნიანიძე, ნიკოლოზ თათარაშვილი**, **ანასტასია იკაევი**, **საბა ყუშიტაშვილი**, **დემეტრე ფოლადიშვილი**, **ნიკოლოზ სალია**, **დეა ჩაჩიბაია**.

დირექტორის პერსპექტივაში გაწერილია ექსკურსიების მოწყობა დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში. პატარა მხატვრები თავიანთი ჯადოსნური ფუნჯებით ცდილობენ დახატონ სამყარო ყველაზე ლამაზ ფერებში, ხატავენ მზიან ზეცას, ბავშვების გაბრწყინებულ თვალებს და საქართველოს მთა-ველებს. ამ საოცრების შემოქმედები არაიან: **ლაზარე აბრამიშვილი**, **დიანა ბელოზერსკაია**, **ანა-მარია გუგეშაშვილი**, **ანასტასია დვალიშვილი**, **ვიქტორია მარტყოფიშვილი**, **ნიკოლოზ ცქიტიშვილი**, **ლევან ვარდიშვილი**, **ცოტნე თალაკვაძე**, **ნიკოლოზ ჯახაია**, **გიორგი ზარიძე**, **თეკლა ჯალაღონია**, **თათული მოწონელიძე**, **მარიამ მუსაშვილი**, **სანდრო ლაშხი**, **ბათუ გაბისონია**.

ბაღში დიდი ყურადღება ეთმობა სპორტს. სპორტული მონაცემებით გამოირჩევიან: **ნიკოლოზ ბაქრაძე**, **საბა ჩივაძე**, **გიორგი ღონღაძე**, **დავით ალელიშვილი**, **მაქსიმე შაგინოვი**, **დავით დათუნაიშვილი**, **გიორგი ჩხეტიანი**, **დათა მაცაბერიძე**, **სერგი ლობჟანიძე**, **საბა დვალი** და სხვები.

ბაღს ჰყავს სხვა აქტიური თანამშრომლებიც, რომელთა საქმიანობა აუცილებელია და საჭირო, ჯანმრთელობის დაცვის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ანა ლეკვეიშვილი**, ლოგოპედი – **მაყვალა ჯავახიშვილი**, ფსიქოლოგი – **ნუნუ გიგიტაშვილი**, მეთოდისტი – **ელენე მიშელაძე**, საქმისმწარმოებელი – **ნანული სიხარულიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი – **სოფო სიხარულიძე**.



ბაღის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ბაღების სააგენტოს და მის ხელმძღვანელს **თემურ თორდინავას** აქტიური თანადგომისთვის, იმისთვის, რომ სააგენტო ყოველთვის მზადაა დახმარება გაუწიოს ბაღის მუშაობას, დაუდგეს გვერდში და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ახალი, ძლიერი და განათლებული მომავალი თაობის ჩამოყალიბებას.

სულით და გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ზღვა სიხარულს და ბედნიერებას გისურვებთ 87-ე ბაგა-ბაღელებო!

**ნანა ფიფია**

## საძირკველი უფრო მყარი რომ იყოს

**დაწყებითი** კლასები განათლების შენობის საძირკველია. ყველას სკოლიდან გვახსოვს ჭალადიდელის სტრიქონები: **„თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.** იაკობ გოგებაშვილი დაწყებით განათლებას და „დედაენას“ „ბურჯი ეროვნებისას“ უწოდებდა. დაწყებით კლასებში სწორი, ეფექტიანი სწავლება მთლიანად განსაზღვრავს ზედა საფეხურებზე წარმატებებს ყველა საგანში. ეს სრული ჭეშმარიტებაა.

ჰოდა, ამ მტკიცე „ბურჯის“ აშენებისთვის ბევრს ვზრუნავთ ჩვენ, თბილისის 141-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლები. ჩვენი კათედრა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე გატაცებით შეუდგა მოღვაწეობას. მუშაობაში სისტემატურად გვეხმარება და მხარში გვიდგას შემოქმედი დირექტორი სკოლისა **მარინე სამუშია**.

მოკლედ მოგითხრობთ კათედრის მუშაობაზე. გამოცდილი, ენთუზიასტი პედაგოგები კვალიფიციური გაკვეთილ;ების გარდა, იმდენ ღონისძიებას ატარებენ ცეროდენებთან, რომ მათ ველარ ჩამოვთვლით, რადგანაც შორს წაგვიყვანს, ამიტომ პროექტის ჩამონათვალით შემოვიფარგლებით.

დაწყებითი კლასების კათედრა აერთიანებს ათ პედაგოგს. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, ესწრებიან კათედრის სხდომებს, თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ყოველთვის პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2015 წლის პირველ ნახევარში დაწყებითი კლასების პედაგოგები შედგენილი გეგმის მიხედვით აქტიურად მუშაობენ მოსწავლეებთან. I – სემესტრის განმავლობაში დამრიგებლების მიერ არაერთი ღია გაკვეთილი, მისი პრეზენტაცია, პროექტები და ღონისძიება იქნა ჩატარებული, რაც მოსწავლეთა ესგ-ით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას ითვალისწინებდა.

კლასების ხელმძღვანელთა ურთიერთთანამშრომლობა იმაში მდგომარეობს ,რომ გათვალისწინებული იყოს სწავლასწავლების ძირითადი პრინციპები. მოსწავლეებში **„წიგნიერების ამაღლების“** მიზნით კლასებში მოეწყო **„საკლასო ბიბლიოთეკა“,** დამზადდა ფლაიერები, შეიქმნა ნახატებიანი წიგნები, შეიქმნა **„დიდი წიგნი“** და მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო შემოქმედებით ოლიმპიადებში.

141-ე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების კათედრის წევრები არიან შემოქმედი, გამოცდილი, ერუდირებული პედაგოგები: **ციცო ალანია**, **ნაზი ჩხაიძე**, **ნელი მარღიშვილი**, **სოფო კალატოზიშვილი**, **ირმა მამრიკიშვილი**, **ლალი გელაშვილი**, **ნანა ტუშური**, **მაია აბრამიშვილი**, **ლელა ლომსაძე** და **თეონა სახვაძე**.

ძალიან გაგვახარა ცნობამ მთავრობისა და განათლების სამინისტროს მიერ აპრილიდან ხელფასის მომატების შესახებ, რომელიც მუშაობაში ჩვენთვის დიდი სტიმული იქნება.

ასე რომ, ჩვენი მონდომებული მუშაობა ორიენტირებულია სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე და აქედან გამომდინარე, მაღალი შედეგების მიღწევაზე.



**თეონა სახვაძე,**
დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელი

**თბილისის 50-ე ბაგა-ბაღი ბუნების წიაღში ბრწყინავს**

# აქ ყველაფერი მშობლიურია



**ამ** ზღაპრულ სამყაროს გამობრძმედილი დირექტორი **ნატო ულრელიძე** ხელმძღვანელობს. მისი ფიქრები და ზრუნვა მხოლოდ ბავშვების კეთილდღეობისკენ არის მიმართული. თითქმის 20 წელია იგი ამ ბაგა-ბაღს უძღვება და აქედან არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი. ნატოს მოადგილე **მეგი გვრიტიშვილი** ჩვენი კოლეგაა, ჟურნალისტია, ერთგულად უდგას მხარში დირექტორს.

საქმის სიყვარულით, ანთებული გულით მოღვაწეობენ აღმზრდელები: **თამარ ასანიძე**, **ნინო ასანიძე**, **იზოლდა საავაძე**, **ინგა კაპანაძე**, **ხათუნა კოპაძე**, **მარინე ლანჩავა**, **მეგი ჩივაძე**, **ნონა ცინაძე**, **მზია ხოკერაშვილი**.



გვინდა გამოვყოთ ქალბატონი **ვენერა ხორგუანი**, რომელიც 40 წელზე მეტია ამ ბაღის ლხინსა და ჭირს იზიარებს.

გლდანის გამგეობამ **ვენერა ხორგუანი** დააჯილდოვა საპატიო სიგელით და ფასიანი საჩუქრებით, გადასცა მას საქართველოს ისტორიის ოთხტომეული.

აღმზრდელებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ თანაშემწეები: **ეკატერინე კიკაძე**, **თეონა ოსიშვილი**, **ნინო პერტაია**, **ბაბულია როსტიაშვილი**, **ცაცა წერეთელი**, **ზამირ ხუციშვილი**, **თამარ გულიაშვილი**. ყველანი ერთად უნერგავენ აღსაზრდელებს სამშობლოს სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, მეგობრობას და რწმენას, რომ იყვნენ საქართველოს საამაყო შვილები.

ბაღში სწავლა-აღზრდის პროცესი მიმდინარეობს სპეციალური ახალი სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამის მიხედვით, რაც თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბაღში სასწავლო პროცესის პარალელურად ტარდება კულტურულ-შემეცნებითი, საზეიმო ღონისძიებები.მასწავლებლებიც და ბავშვებიც სიამოვნებით იხსენებენ ამას წინათ ახმეტელის თეატრში ჩატარებულ ღონისძიება-კონკურსს – **„შემოდგომის ფერია“**, სადაც ბაღის აღსაზრდელებმა საუკეთესო საშემსრულებლო მონაწილეობისთვის მესამე ადგილი მოიპოვეს და დასაჩუქრდნენ ფასიანი საჩუქრებით სადღესასწაულო ცენტრისგან **„მაქსილენდი“**.

ბაღში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი კონცერტები, სანახაობები.აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბავშვებმა **„თბილისობის“** დღესასწაულზე. ახლა კი მთელი ძალისხმევით ემზადებიან, რომ საახალწლო დღესასწაული გაულამაზონ თავიანთი გაცისკროვნებული, ცქრიალა სახეებით მშობლებს, მასწავლებლებს და ბაღის სტუმრებს.

აქ ფრთიანდება უნიჭიერესი თაობა, ე. ი. საქართველოს ხვალინდელი დღე. ნიჭიერი ცეროდენები მღერიან, ცეკვავენ, ხატავენ, ბევრი გამოირჩევა სპორტული თუ ინტელექტუალური მონაცემებით. ნორჩი მომღერლების წარმატებას განაპირობებს მუსიკის მასწავლებლის **ინგა ფორჩხიძის** გატაცებული მუშაობა. იგი პატარებს ურჩევს შესაფერის რეპერტუარს, აზიარებს მათ მუსიკის ხელოვნების მშვენიერებას.

**ელენე ოსიყმიშვილი**, **ნატალი ჩალაძე**, **თამარ დიღმელაშვილი**, **მარიამ ჭინჭარაული**, **მარი მეტრეველი**, **გიორგი მღებრიშვილი**, **თეკლა ხელაძე**, **ნატალი შანიძე**, **მარი აბაზაშვილი**, **მარი ფროდონაშვილი** და ბევრი სხვა აღსაზრდელები არიან, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით ყველა დღესასწაულს ალამაზებენ. **ანასტასია არევაძე** „ბასტი-ბუბუში“ მღერის, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საკონცერტო პროგრამებში, ჩაწერილი აქვს სიმღერაც. ასევე პერსპექტიული მოცეკვავეები **ზუკა ღურწკაია**, **ანანო ცულოშვილი**, **ლიზი და ბარბარე კბილაშვილები**, **ბარბარე მეტრეველი** (სამეჯლისო ცეკვები). ამ პატარების დამკვალიანებელია ცეკვის ცნობილი პედაგოგი **მარინე ამირეჯიბი**.

პატარა მხატვრებიც ჰყავთ. ფუნჯებით საოცარ ფანტაზიებს ფლობენ: **ანა წერეთელი**, **თეიმურაზ ჯიქია**, **მარიამ წაქაძე**. ძერწვაში გამოირჩევა – **დავით გოგოლაძე**.

ნორჩი ინტელექტუალებიც გავიცნოთ: **საბა ცუცქირიძე**, **ნიკოლოზ ასანიძე**, **ნიკოლოზ ჩიგოევი**, **თეკლა ხელაძე**, **დათო ჯავახიშვილი**, **ლუკა ლომიძე**, **ანასტასია ბენდიაშვილი**, **ნიკოლოზ ვაშაყმაძე**. მხატვრული კითხვის პატარა ოსტატები: **თეკლა გაბიდაური**, **რუსკა ხოშებაევი**, **ანა-მარია ჩხიტუნიძე**, **ანასტასია მიხაილიდი** გულში ჩასახუტებელი ცუგრუმელები არიან.



ბაღში ყალიბდებიან მომავალი ტანმოვარჯიშეები – **ქეთევან წამალაშვილი**, **დაჩი ჯახველაძე**, ფეხბურთელები – **გაბრიელ კბილაშვილი** და **ლევან ოქრომელიძე**.



ბავშვები იკვებებიან სამჯერადად. კალორიული, ნოყიერი და მრავალფეროვანი ვიტამინებით გაჯერებული უგემრიელესი კერძებით. სპეციალისტები არიან მზარეული და მისი თანაშემწე, ქალბატონები – **ცელონი ხარაზიშვილი** და **ბელა ბერულავა**.

ცეროდენების ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს გამოცდილი პედიატრი **თამარ აზარაშვილი**. პატარებთან აქტიურად მუშაობენ ლოგოპედი – **ნანა ლორთქიფანიძე-ბუცხრიკიძე**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი – **მაია გაგნიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი – **მერი დონაძე** და საქმისმწარმოებელი – **მარიამ ქარაული**. დირექტორმა შეაქო სხვა თანამშრომლებიც: დამლაგებლები – **ვერა ანდიაშვილი**, **ნანი მეტრეველი**, **თეა ბუაძე**, **ლია ასანიძე**. დარაჯი – **ზაქარია ჯანჯღავა** და მუშა – **კონსტანტინე ჭილლაძე**.

ბაღს აქვს მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

50-ე ბაგა-ბაღელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

**მარინე მირცხულავა**





---

**დავუკვირდეთ საკუთარ ქცევას!**

# ხბოს აღტაცება

**ბოჩოლა** რძით რომ გაიჭყიპება, დედის ძუძუს მოსხლტდება და მინდორში კუნტრუშს დაიწყებს – უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება, ხან – იქით, ტლინკაობს. ამას **„ხბოს აღტაცებას“** ეძახიან. არ ვიცი, ეს ჩვენს ხასიათშია თუ არა, მაგრამ ასეთი რამ ქართველებსაც გვემართება – მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით. თუ კი ვაცნობიერებთ და მაინც ასე ვიქცევით, მით უარესი: ეს უკვე ზღვარგადასული **მლიქვნელობაა** რაიმე დიდი საზღაურის მოლოდინში. გაიხსენე, მკითხველო: **„მელაკუდამ ტაში დასცხო, ამფერ, ჩემო დათუნაო, როგორ გშვენის ეგ დავლური, მალაყები და ხტუნვაო“**.

ილიას „ბედნიერი ერიდან“ ჩვენს მანკიერებებს (რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გვახასიათებს) არ ჩამოვთვლი, მხოლოდ „ხბოს აღტაცების“ ორ ეპიზოდს გაგახსენებთ; ერთს – წარსულიდან, ერთს კი – დღევანდელობიდან.

მაშინ რუსი მწერალი **ასტაფიევი** გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა“ გაუმართეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზი – ციმორი დააჭერინეს.

დაბრუნდა მათი ასტაფიევი მოსკოვში და გამოაქვეყნა პასკვილი: **„ციმორის ჭერა“:** ქართველები არიანო უსაქმურები, დროსტარებას გადაყოლილნი, ორსული ქალებივით უშველებელი ღიპით დადიანო და ასე შემდეგ.

შარშან თურქმა მწერალმა **ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. გადაირივნენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლები, ჩამოიყვანეს თავიანთი კუმირი, „პრეზენტაცია“ მოუწყვეს, **სუფრანდაციაც** მიაყოლეს. ერთი სიტყვით, გადაყვნენ.

ერთმა მწერალმა ჰკითხა **უძვირფასეს** სტუმარს, ჩვენს რუსთაველზე რას გვეტყვითო. ასეთი პოეტი კი გამიგონია, მაგრამ მისი „ვეფხისტყაოსანი“ არ წამიკითხავსო!!!

შეგონება: **„ხბოს აღტაცება“ თავმოყვარეობას ლახავს. ღირსების გრძნობა კი კარგი საქონელია.**

მკაცრი კრიტიკოსი
**მოსე მწერალი**

თბილისის მე-8 საჯარო სკოლა

# აკაკი კივილაძის სახელობისა



დიდი მადლობა, ყველას, ყველაფრისათვის. ვითომ წავედი... არა, ისევ თქვენთან ვარ, ასე ვიქნები მარად! თქვენი აკაკი კივილაძე.....




**ჩვენი** გაზეთის ამ ნომრის გამოცემამდე ოთხი დღის წინათ, თბილისის ერთ-ერთ გამორჩეულ, დიდი ტრადიციების მქონე სკოლას ვესტუმრე. იგი თავისი არსებობის 102 წელს ითვლის. თბილისის მე-8 საჯარო სკოლა დედაქალაქში ცნობილი **ბილანიშვილების** სკოლის მემკვიდრეა. იგი სხვადასხვა დროს იწოდებოდა დაწყებით სკოლად, გიმნაზიად, 32-ე შრომის, 45-ე ქალთა და ბოლოს მე-8 საშუალო სკოლად.

ოცი წლის განმავლობაში 1953 წლიდან 1973 წლამდე სკოლას ხელმძღვანელობდა უაღრესად კომპეტენტური დირექტორი, სულით ხორცამდე პედაგოგი, მისაბაძი ქცევითა და გარეგნობით, ქალბატონი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **ქეთევან ნახუცრიშვილი**.

1968 წელს სკოლამ ახლადმოსახლეობა ზიეიმა.

1973 წლიდან ნაძალადევის რაიონის მაშინდელი განათლების განყოფილების გამგის **თამაზ ტატიშვილის** ბრძანებით, მე-8 სკოლის დირექტორად დაინიშნა ახალგაზრდა, ბრძოლასა და შრომაში გამობრძმედილი **აკაკი კივილაძე**. როგორც სასწავლო, ასევე აღმზრდელობით სფეროში დაუღალავი ხელმძღვანელი, სიახლეების ინიციატორი და ორგანიზატორი. მისი ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით სკოლაში შეიქმნა მხარეთმცოდნეობის კაბინეტი, საბრძოლო დიდების მუზეუმი, მოგვიანებით ინფორმატიკის კაბინეტი, რაც იმ დროისათვის დიდი სიახლე იყო თბილისის სკოლების სინამდვილეში.

სკოლაში დაიწყო მოწინავე ადამიანების, შრომის გმირების, მეცნიერების, მწერლების, მსახიობების, თბილისის საპატიო მოქალაქეების, ომის ვეტერანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა. არასოდეს დაავიწყდებათ სკოლის კურსდამთავრებულებს შეხვედრები აკადემიკოსებთან – **აკაკი შანიძესა** და **ნიკო კეცხოველთან**, მწერლებთან **რევაზ ჯაფარიძესთან**, **ჯანსულ ჩარკვიანთან**, **რევაზ ინანიშვილთან**, აკადემიკოს **გურამ შარაძესთან**.

სხვადასხვა დროს სკოლის სტუმრები იყვნენ ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომიდან მკერდდამშვენებული დაბრუნდა ბატონი **აკაკი კივილაძე.** განათლების სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის 1959 წელს დაჯილდოვდა სახალხო განათლების წარჩინებულის მედლით, 1969 წელს მიენიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება; 1976 წელს დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, 1987 წელს ქალაქის განათლების სამმართველომ მე-8 საშუალო სკოლა **„ნდობის სკოლად“** გამოაცხადა. ამავე წელს ბატონ აკაკის გადაეცა საბჭოთა კავშირის განათლების წარჩინებულის საპატიო მედალი. დაჯილდოვდა ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენებით, იაკობ გოგებაშვილის სამახსოვრო მედლით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სავსებით ლოგიკური დამსახურებების საფუძველზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება მე-8 საშუალო სკოლისათვის **აკაკი კივილაძის** სახელის მინიჭების შესახებ.

სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენას მიეძღვნა ის საზეიმო შეკრება, რომელიც 4 დეკემბერის სკოლის შენობაში გაიმართა.

აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ სკოლისათვის ღირსეული დირექტორისა და პიროვნების სახელის მინიჭების მიღწევისთვის დიდი ორგანიზატორული მუშაობა ჩაატარეს სკოლის დღევანდელი დირექტორის წინამორბედმა **მერაბ მეზურნიშვილმა**, დირექტორის მოადგილემ, სკოლის ერთ-ერთმა დასაყრდენმა ძალამ **როზა დაბახიშვილმა**, ამჟამინდელმა დირექტორმა **თეონა მაისურაძემ**.

არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ სკოლის რამდენიმე საამაყო კურსდამთავრებული. ისინი ბევრნი არიან, აი, რამოდენიმე მათგანი: პირველ რიგში, ეს გახლავთ, დღეისათვის მოქმედი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, **ლადო მკერვალიშვილი** – დედა უნივერსიტეტის პროფესორი, **ზაზა ნამორაძე** – უნგრეთში სერიოზული სტრუქტურის აქტიური მოღვაწე, **ირინა კაკოიაშვილი** – საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ფინანსური მენეჯერი, **ნანა კუპრაძე** – შპს საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი; ასევე მე-8 სკოლის გამორჩეული კურსდამთავრებულნი არიან: **ინგა გაგნიძე**, **ნინო პეტრიაშვილი**, **ეკა ქავთარაძე**, **კობა ხორბალაძე**, **მარიამ ჩიკვაიძე**, **ბესიკ ქორიძე**; ნიჭიერი ცნობილი მომღერლები, და-ძმა **სოფო** და **ბორის ბედიები** და სხვანი.

თბილისის მე-8 საჯარო სკოლამ უამრავი წარმატებული ფურცელი ჩაწერა საქართველოს დედაქალაქის (და არა მარტო დედაქალაქის) შემეცნებით-საგანმანათლებლო და აღმზრდელობით მრავალმხრივ საქმიანობაში. ბატონ **აკაკი კივილაძის** წვლილი კი ამ მიმართებით უსაზღვრო გახლავთ. სწორედ ამიტომაც, როგორც იტყვიან, ალალი იყო მისი სახელის მიკუთვნება მშობლიური სკოლისათვის.

ამ ისტორიული მნიშვნელობის საზეიმო შეკრებაზე დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა მე-8 საჯარო სკოლის დირექტორმა **თეონა მაისურაძემ**. საინტერესო იყო განათლების დამსახურებული მუშაკის, ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილების ყოფილი გამგის **დემურ კალანდაძის** გამოსვლა; მე-8 სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის, განათლებისა და მეცნიერების დღევანდელი მინისტრის **თამარ სანიკიძის** პედაგოგის **დარეჯან ჯოჯუას**, ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **ნარგიზ ლოლაძის**, ნაძალადევის რაიონის ყოფილი მეთოდური კაბინეტის გამგის, შემდგომ სკოლების დირექტორის **მერი აფხაზავას**, ფსიქოლოგის, მასწავლებელთა პროფესიული განათლების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის **ქეთევან ოსიაშვილის**, 123-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის **ირმა მაისურაძის**, თბილისის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის მანანა **წნორიაშვილის**, თვით ბატონი აკაკი კივილაძის შვილების (ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის **თემურისა** და ცენტრალური უროლოგიური კლინიკის გამოცდილი ექიმის **დავითის** და ასევე ამ წერილის ავტორის გამოსვლები. საზეიმო შეკრება დაამშვენეს და-ძმა ბედიების სიმღერებმა, მეოთხე კლასელი **ანა პაიჭაძის**, ყოფილი მერვეკლასელების სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტის **სალომე ჩიკვაიძისა** და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის **ეთერ კავლელაშვილის** მიერ შესრულებულმა მუსიკალურმა ნომრებმა, სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლის **„სალხინოს“** (ხელმძღვანელები, ბრწყინვალების ორდენის მფლობელი **ოლეგ ბაღდავაძე** და **ნონა ბაღდავაძე**).





საზეიმო შეკრების სტუმართა რიგებში იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ყოფილი მოადგილე **თამაზ ტატიშვილი**, ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ხათუნა ლოდია**, ამავე რაიონის განათლების ყოფილი მოადგილე **ზაირა ნეფარიძე**, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **სვეტლანა სურგულაძე**, ნაძალადევის რაიონის გამგეობის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, 26-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი **ლიდია ნოდია**. 141-ე სკოლის ყოფილი დირექტორი **რუსუდან ყურშავიშვილი**, 114-ე, მე-9, 113-ე სკოლების ამჟამინდელი დირექტორი **გულიკო გაბიტაშვილი**, **მარინე გიგაური**, **ლია გაბინაშვილი**.

2009 წელს **აკაკი კივილაძემ** დაასრულა წიგნი „მოგონებანი გარდასულ დღეთა“. სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო მის გამოცემას, რომელიც 2010 წელს გამოვიდა.

წიგნს წამძღვარებული აქვს ავტორის სიტყვები **„დიდი მადლობა ყველას ყველაფრისთვის. ვითომ წავედი... არა, ისევ თქვენთან ვარ. ასე ვიქნები მარად! – თქვენი აკაკი კივილაძე“.**

სწორედ ამ ტექსტის ფონზე, რომელიც მთელი შეკრების მანძილზე სცენის ეკრანიდან ასხივოსნებდა დამსწრეთაგან გადავსებულ დარბაზსა და ჭეშმარიტი მამულიშვილის ხსოვნას, ჩაიარა სითბოთი და სიყვარულით.





ჩვენი გაზეთის რედაქცია შემდგომ წარმატებებს უსურვებს **აკაკი კივილაძის** სკოლას მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საპატიო მისიის შესრულების საქმეში.

**რომან მოსეშვილი**

„მადლი ქენი, ქვას დადევი...“

# მთავარი მოტივი ქველმოქმედებაა



**საბედნიეროდ,** საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედებით გამოირჩევიან, გაჭირვებულებს ეხმარებიან, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ. ერთ-ერთი ასეთი ღირსეული პიროვნება 2013 წლის, გადაცემა „იმედის გმირი“, თეატრ-სტუდია „მადლის“ დირექტორი **ჯემალ დემურაძე**. იგი, პროფესიით მსახიობია და 15 წელიწადია, რაც „მადლი“ დააარსა, რომლის მთავარი მიზანია საქველმოქმედო ღონისძიებების გამართვა და უნარშეზღუდული ბავშვების დახმარება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარას გაეწია დახმარება: ეტლით, ტანსაცმელით, სკვებით და სხვადასხვა ინვენტარით.

თეატრ-სტუდია, ძირითადად, შოუ-სანახაობებს მართავს საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სასწავლო, კულტურულ და სპორტულ დაწესებულებებში. მათ სულ 7 მსახიობი ჰყავთ და აქვთ შერეული პროგრამა: **„ბრეიკ-დანსი“, „ჰიპ-ჰოპი“, „ლეგენდა აღმოსავლურ იოგებზე“, „მხიარული კლოუნადა“, „ილუზია-მანიპულაცია“** და სხვა. სტუდიას შენობა არ გააჩნია, ამიტომ საკონცერტო ნომრებს შინ ამზადებენ.

– სტუდიის შექმნის მთავარი მოტივი ქველმოქმედებაა, – ამბობს **ჯემალ დემურაძე** – „მადლის“ დაარსების იდეა კი, უბედურმა შემთხვევამ განაპირობა.



„მადლის“ ინიციატივით, უკვე არაერთი ღონისძიება გამართა და შემოსული თანხით, მრავალ პატარა გოგონა გარდამეცვალა და ამის შემდეგ, უფალს შევფიცე: დავეხმარებოდი ბავშვებს, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. ჯანმრთელი შვილის ყოლა ბედნიერებაა. ახლა სამი ვაჟკაცი მყავს: **გიორგი, დიმა** და **რომა,** რომლებიც ჩემთან ერთად ცდილობენ სხვების დახმარებას. ასევე, გვერდში მიდგას ჩემი მეუღლე **ფატი** და გვინდა, რაც შეიძლება ბევრ პატარას შევუმსუბუქოთ ყოფა და გავუხალისოთ ცხოვრება. ზუსტად ვერ გეტყვით, ამ ხნის მანძილზე, რამდენ ბავშვს დავეხმარეთ, მაგრამ საქართველოში ალბათ, სოფელი არ დარჩენილა, სადაც კონცერტი არ გაგვემართა. შემოსული თანხით კი, ქველმოქმედებას ვეწევით. მაგალითად, ერთ ფაქტს მოგიყვებით, სოფელ **გამარჯვებაში** ბავშვს ეტლი გადავეცით. იმ სკოლაში კი, სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარა იყო. მეორე ჯერზე მოგვიწია ჩასვლა, რათა დანარჩენ ორ ბავშვს დავეხმარებოდით და კონცერტი გავგემართა.. სკოლის დირექტორმა მითხრა, – შენთვის სიურპრიზი მაქვსო და ბავშვი, რომელსაც ეტლი გადავეცით, სცენაზე, საკუთარი ფეხით ავიდა. ჩვენი საჩუქარი კი, სხვა პატარასთვის გადაუცია. ეს შოკი იყო! მსგავსი სიხარული იშვიათად თუ განმიცდია.

**დემურაძეების** ოჯახი ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად არ უჭირთ და სოციალურად დაუცველთა სიაში არიან, შემოსავლის დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში ხარჯავენ. მშობლები შვილებს კარგ მაგალითს აძლევენ



და გაცნობიერებული აქვთ, რომ გულით გაკეთებულ სიკეთეს უფალი ყოველთვის წინ დაახვედრებს.

**ჯემალ დემურაძე** აცხადებს, რომ მისი მიზანი ქველმოქმედებაა და უნდა, რაც შეიძლება ბევრს დაეხმაროს. ამისათვის კი საჭიროა საკმარისი ფინანსები. იმედია, ბიზნესმენები, ან ხელისუფლების წარმომადგენლები დაინტერესდებიან და გვერდში დაუდგებიან ბატონ ჯემალს ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში.

**გოჩა ხარატიშვილი,** საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე:

– **ჯემალ დემურაძე** კოლორიტული პიროვნება და ქართველი ერის ღირსეული კოჰორტის წარმომადგენელია, რომელიც მართლაც, მადლიან საქმეს აკეთებს. ამიტომაც ჰქვია მის თეატრ-სტუდიას **„მადლი“**. მიუხედავად იმისა, რომ ხელმომჭირნედ ცხოვრობს, იგი მაინც სხვებზე ზრუნავს და მათ ეხმარება. ამიტომაც, ხშირად ამბობს: **„მე ჩემზე გაჭირვებულებს ვეხმარებიო“.**

სიკეთის კეთება შვებას გვრის მის ოჯახს, რომელიც საზოგადოების მხრიდან, ნამდვილად დასაფასებელია. ასეთ ოჯახებს ჯეროვანი ყურადღება და მხარში დგომა ესაჭიროებათ, რათა უფრო მეტ პატარს მოჰგვარონ სიხარული და ბედნიერება.



**მზია გოგოძე**

---

# „შემოდგომის ზეიმი“ დიდი ჩაილურის სკოლაში

**საგარეჯოს** რაიონის სოფელ **დიდი ჩაილურის** საჯარო სკოლაში უკვე ტრადიციად იქცა პოეზიის საღამოების ჩატარება და ქართველი პოეტების მიპატიჟება. მათთან სტუმრად ამ გაზაფხულზეც ვიყავით მე, **მაიკო მიქაია** და **ედუარდ უგულავა**. მაშინ იქიდან თითოეულ ჩვენგანს ისეთი სასიამოვნო განცდა გამოგვყვა, რომ ძალიან გაგვახარა ახალმა მიწვევამ. სკოლაში **„შემოდგომის ზეიმი“** ჰქონდათ 21 ნოემბერს. **„მთავარანგელოზის“** დღეს, მზიანმა ამინდმა, სკოლის ეზოში მოჟრიამულე, ნაირფერ კოსტიუმებში გამოწყობილმა ანგელოზმა ბავშვებმა, კოცონზე შემოდგმულ კახურ "სათათარე" ქვაბთან მოფუსფუსე უფროსკლასელებმა, მშობლებმა და პედაგოგებმა ნამდვილი სადღესასწაულო განწყობა შექმნეს. ჩურჩხელების ამოვლებამდე, იქვე, სკოლის ეზოში, უმცროსკლასელებმა კონცერტი გამართეს. ერთიმეორეზე უკეთ, მხატვრულად კითხულობდნენ საყვარელი პოეტების საბავშვო ლექსებს პირველკლასელები: **გურამ, გიორგი** და **თაზო საგინაშვილები, ანი** და **ნინი მალასიძეები, ოლღა, ლიზი, მათე** და **ეთერ ლოლაძეები, ზუკა** და **დიმიტრი ბერებიშვილები, მარიამ კირაკოზაშვილი, ნიკოლოზ მარიდაშვილი, ალექსანდრა გზირიშვილი...** მე-3 კლასელები: **გიორგი კირაკოზაშვილი, გიორგი** და **თათია საგინაშვილები, ანი, ლევან** და **ანა ლოლაძეები...**



ლიტერატურული მონტაჟი **"ეს ქვეყანა შენია"** საოცრად ლამაზად წარმოადგინეს მე-4 კლასელებმა: **ციცი, მარი** და **ლუკა ლოლაძეებმა, ნიკა** და **საბა საგინაშვილებმა, მარი მემარნიშვილმა, ანი ჩიტიძემ, ნიკა კირაკოზაშვილმა.**

მე-5 კლასელებმა: **ზაურ კირაკოზაშვილმა, ბექა ტუხაშვილმა, მარიამ საგინაშვილმა, ქეთი დურგლიშვილმა, ანანო საგინაშვილმა, თათია ლომთაძემ, თაკო კირაკოზაშვილმა, ნინო ფეიქრიშვილმა** სიურპრიზი გამიკეთეს და გალაკტიონის, გოგლა ლეონიძის, ანა კალანდაძის, თემურ ჩალაბაშვილის, ედუარდ უგულავას, შესანიშნავი ლექსების გარდა, ჩემი ლექსების ცოდნითაც გამახარეს.



უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი, **ედუარდ უგულავას, თემურ ჩალაბაშვილისა** და **მაიკო მიქაიას** სახელით, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, მოსწავლეებს და სკოლის დირექტორს, ქ-ნ **ლია როსტიაშვილს,** ასეთი თბილი, ესთეტიკური, დაუვიწყარი დღისთვის!..

**ეკა ქურხული**

---


მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 16 (4520)
9 დეკემბერი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან



რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04



E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52



ISSN 1987-9113